N 9
01.04.2024

9-27-4-202404011036

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის

ბრძანება

სსიპ-ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე პროფესორის სამსახურში მისაღებად გამოცხადებულ კონკურსთან დაკავშირებით დოკუმენტების მიმღები აპარატის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, 29–ე მუხლის მე–3 პუნქტის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების, 34-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, 35-ე მუხლის მე-2 პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/ნ ბრძანებით დამტკიცებული სსიპ- ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-14 მუხლის პირველი პუნქტის, მე-8 პუნქტის "ა", "ბ" და "პ" ქვეპუნქტების, 28-ე მუხლის, 29-ე მუხლის მე-2 პუნქტის, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 22 დეკემბრის N118 დადგენილების , "სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღებისა და კონკურსის ჩატარების ერთიანი წესის შესახებ" (დამტკიცებულია თსუ წარმომადგენლობითი საბჭოსმიერ, ოქმი N10 29.12.2014წ.), სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის 2024 წლის 7 მარტის N 58/01-01 ბრძანების საფუძველზე, ვბრძანებ:

1. დამტკიცდეს ჰუმანიტარულ მეცნიერება თაფაკულტეტზე საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღები აპარატი შემდეგი შემადგენლობით:

1.1. თამარ მოკვერაშვილი - აპარატის უფროსი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის უფროსი.

1.2. ანი ბანეთიშვილი – თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის კანცელარიის წამყვანი სპეციალისტი.

1.3. ზურაბ გაბიჩვაძე – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის სპეციალისტი (იურიდიულ საკითხებში)

2. საკონკურსო დოკუმენტების მიღება იწარმოებს 2024 წლის 8 აპრილიდან 2024 წლის 15 აპრილის ჩათვლით. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საკონკურსო დოკუმენტაციის მიმღებ აპარატში, თბილისი ი. ჭავჭავაძის გამზ. N1 (I კორპუსი) ოთახი N207;

3. ბრძანება ძალაშია გამოცემისთანავე.

ნანა გაფრინდაშვილი



ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი